

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი საქართველოს მუზეუმებში

აბსტრაქტი

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი საქართველოს მუზეუმებში მხოლოდ ისტორიული დოკუმენტი არ არის; ის ქვეყნის სუვერენიტეტისა და ევროპული იდენტობის მთავარი სიმბოლოცაა. მისი გამოფენის კონტექსტი ხაზს უსვამს წყვეტას კოლონიალიზმის პერიოდთან და კავშირს თანამედროვე ქართულ დემოკრატიასთან.

უმთავრესი ადგილები, სადაც წარმოდგენილია საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი არის:

1. საქართველოს ეროვნული არქივი (საგამოფენო პავილიონი)

ეს არის ადგილი, სადაც დამოუკიდებლობის აქტის დედანი ინახება. დედანი იზვიათად გამოდის მუდმივ ექსპოზიციაზე (ქალაქისა და მეღვინის დაზიანების რისკი). თუმცა, დამოუკიდებლობის დღეს (26 მაისი) არქივი აწყობს სპეციალურ ჩვენებებს. დოკუმენტი წარმოდგენილია იმ ეპოქის სხვა მასალებთან ერთად: პირველი რესპუბლიკის დროშა, გერბი და დამფუძნებელი კრების წევრების ფოტოები.

2. საქართველოს ეროვნული მუზეუმი (სიმონ ჯანაშიას სახელობის)

მუზეუმის ზედა სართულზე განთავსებულია „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი“, სადაც წარმოდგენილია დამოუკიდებლობის აქტი. ექსპოზიცია აჩვენებს კონტრასტს 1918-1921 წლების დემოკრატიულ აღმავლობასა და 1921 წლის ბოლშევიკურ ოკუპაციას შორის. დამოუკიდებლობის აქტის ასლი განათებულია და მასთან ერთად

• პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გამოფენილია იმ პერიოდის პოლიტიკური მოღვაწეების (ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელი და სხვ.) მემორიალური ნივთები.

აქტზე ხელმოწერილია იმ დროის თითქმის მთელი პოლიტიკური ელიტა, რაც ხაზს უსვამს ეროვნულ კონსენსუსს. ეს მნიშვნელოვანია დემოკრატიის კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ 1919 წლის 12 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრებმა ხელახლა მოაწერეს ხელი დამოუკიდებლობის აქტს.

მუზეუმები დამოუკიდებლობის აქტს წარმოაჩენენ არა როგორც შემთხვევით მოვლენას, არამედ როგორც პროგრესულობის სიმბოლოს - 1918 წელს საქართველომ აღიარა ქალთა საარჩევნო უფლება, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების თანასწორობა და ა. შ. ასევე ხაზი ესმის სამართლებრივ მემკვიდრეობას: 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი სწორედ 1918 წლის დოკუმენტს ეფუძნება, რაც მუზეუმებში ხშირად პარალელური ექსპოზიციებით არის ნაჩვენები.

მუზეუმებში ამ დოკუმენტის ნახვისას რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველო 1918 წელს იყო სრულფასოვანი ევროპული დემოკრატია, რომლის განვითარებაც რუსულმა ოკუპაციამ ძალისმიერად შეაჩერა.

როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის წარმოჩენა მუზეუმებში?

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის წარმოჩენა მხოლოდ დოკუმენტის ჩვენება არ უნდა იყოს, მან დამთვალერებელს იმ ეპოქის ემოციური და ინტელექტუალური მუხტი უნდა გადასცეს. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი ისტორიული კვლევების გათვალისწინებით, რამდენიმე მიმართულებით შეიძლება ექსპოზიციების გაუმჯობესება:

1. ინტერაქტიული და მულტიმედიური თხრობა - მხოლოდ შუშის მიღმა მდებარე ქალღმერთი ბევრისთვის „მშრალია“. საჭიროა დოკუმენტის გაცოცხლება, მაგალითად ხელმოწერთა ბიოგრაფი-

ებით. აქტის ხელმომწერია 88 ადამიანი, (აქედან ერთი ხელმოწერის გარჩევა ვერ ხერხდება) მუზეუმში შეიძლება იყოს ციფრული პანელი, სადაც ნებისმიერ ხელმოწერაზე დაჭერით გაიხსნება ამ ადამიანის ისტორია - ვინ იყო, რა ბედი ეწია ოკუპაციის შემდეგ (ბევრი მათგანი დახვრიტეს ან ემიგრაციაში გარდაიცვალა).

შესაძლებელია ამ დიდი მოვლენის აუდიო-ვიზუალური რეკონსტრუქციაც: სპეციალური ყურსასმენებით დამთვალიერებელს უნდა შეემლოს მოისმინოს აქტის კითხვისა და იმ პერიოდის ოვაციების ხმა (რეკონსტრუირებული ან საარქივო ჩანაწერები).

2. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი შეიძლება წარმოჩინდეს რეგიონულ და გლობალურ კონტექსტში: მუზეუმმა შეიძლება აჩვენოს, რომ 1918 წელს საქართველო იყო ევროპული დემოკრატიის ნაწილი. აქტის გვერდით შეიძლება იყოს წარმოდგენილი იმავე პერიოდში ევროპაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები (მაგალითად, ვაიმარის რესპუბლიკა ან პოლონეთის დამოუკიდებლობა).

3. შეიძლება მოეწყოს ღირებულებების კედელი: აქტის მიერ დეკლარირებული ძირითადი პრინციპები (თანასწორობა, რელიგიის თავისუფლება და ა. შ.) უნდა იყოს შედარებული თანამედროვე ევროპულ ღირებულებებთან, რათა ხაზი გაესვას ქვეყნის მიერ არჩეული გზის უცვლელობას.

4. ასევე 1918 წლის აქტის გვერდით შეიძლება განთავსდეს ცარიელი ადგილი ან ციფრული დაფა, სადაც დამთვალიერებლები დაწერენ, რას ნიშნავს მათთვის დამოუკიდებლობა დღეს. ეს დოკუმენტს აქცევს არა მხოლოდ წარსულად, არამედ ცოცხალ პროცესად.

5. შეიძლება მოეწყოს საგანმანათლებლო კუთხე ბავშვებისთვის. მაგალითად შეიძლება მოეწყოს აქცია „გახდი ხელმომწერი“ - ბავშვებისთვის განკუთვნილი კუთხე, სადაც ისინი სიმბოლურად

აწერენ ხელს „დამოუკიდებლობის აქტს“, რომელიც მათ ავალდებულებს იყვნენ თავისუფალი და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? მუზეუმში 1918 წლის აქტის სწორი წარმოჩენა საფუძველს აცლის ნიჰილიზმს. როდესაც მოქალაქე ხედავს, რომ 100 წლის წინ მისმა წინაპრებმა შეძლეს სახელმწიფოებრიობის შექმნა, უჩნდება რწმენა, რომ დღევანდელი გამოწვევების დაძლევა შესაძლებელია.

ორივე კომპონენტის სინთეზი - დოკუმენტის ნახვა და იმ ადამიანების პირადი ისტორიების გაცნობაც, მუზეუმს აქცევს არა მხოლოდ საცავად, არამედ თავისებურ „დროის მანქანად“. დამოუკიდებლობის აქტის ნახვა გვაძლევს განცდას, რომ ისტორია რეალურია, ხოლო პირადი ისტორიები ამ რეალობას ემოციურ შინაარსს სძენს.

დამოუკიდებლობის აქტი უნდა იყოს ექსპოზიციის ცენტრში, თითქმის საკრალურ გარემოში. როდესაც ხედავ 107 წლის წინანდელ ქაღალდს და მეღვინის კვალს, მკაფიოდ წარმოჩინდება, რომ დამოუკიდებლობა არ იყო აბსტრაქტული იდეა - ეს იყო კონკრეტულ დღეს, კონკრეტულ ოთახში მიღებული გაბედული გადაწყვეტილება.

აქტის გარშემო უნდა იყოს განლაგებული ხელმომწერთა პორტრეტები და მოკლე ისტორიები. ეს ადამიანები არ იყვნენ მხოლოდ პოლიტიკოსები; ისინი იყვნენ მწერლები, იურისტები, მასწავლებლები. მაგალითად, შეიძლება წარმოჩნდეს სამი სიმბოლური ხელმოწერა:

- ნოე ჟორდანიას: ლიდერი, რომელმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მისი ისტორია არის გზა იმპერიული ციხიდან დამოუკიდებელი ქვეყნის მეთაურობამდე.

- მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე: ერთ-ერთი ქალი ხელმომწერი. მისი ისტორია საუკეთესოდ აჩვენებს იმ დროის ქარ-

თული საზოგადოების პროგრესულობას, მისი ბიოგრაფია ოკუპაციის ტრაგედიის სიმბოლოა.

- გიორგი გვაზავა: ეროვნულ-დემოკრატი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აქტის ტექსტის შემუშავებაში. მისი ისტორია აჩვენებს, რომ დამოუკიდებლობა იყო სხვადასხვა იდეოლოგიის ადამიანების საერთო საქმე.

საინტერესო იქნება ინფოგრაფიკა, რომელიც აჩვენებს ხელმომწერთა ბედს 1921 წლის შემდეგ: რამდენი დახვრიტეს 1924 ან 1937 წლებში; რამდენი გარდაიცვალა ემიგრაციაში სამშობლოს ნოსტალგიით; რამდენი დარჩა საქართველოში და განიცადა რეპრესიები. ეს დამთვალეიერებელს აგრძნობინებს იმ ფასს, რომელიც ამ ადამიანებმა დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მოწერით გადაიხადეს.

როდესაც ჩვენ ვხედავთ დოკუმენტს, ვამაყობთ ჩვენი სახელმწიფოებრიობით. როდესაც ვკითხულობთ ისტორიებს, ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას. მუზეუმიდან გამოსულ ადამიანს უნდა ჰქონდეს განცდა: „ეს ქვეყანა ჩემია და მე ვალდებული ვარ მისი თავისუფლება დავიცვა“.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი, მუზეუმები, მეხსიერების პოლიტიკა.

Malkhaz Matsaberidze

The Act of Independence of May 26, 1918, in Georgian Museums

Abstract

The Act of Independence of May 26, 1918, is not merely a historical document within Georgian museums; it is the primary symbol of the country's sovereignty and European identity. The context of its

exhibition emphasizes a definitive rupture with Russian imperialism and a direct link to modern Georgian democracy.

Key locations where the 1918 Act of Independence is presented:

The National Archives of Georgia (Exhibition Pavilion) This is the repository where the original Act of Independence is preserved. The original is rarely placed on permanent display due to the risk of damage to the paper and ink. However, on Independence Day (May 26), the Archives organize special viewings. The document is presented alongside other materials from that era: the flag and coat of arms of the First Republic, and photographs of the members of the Constituent Assembly.

The Georgian National Museum (Simon Janashia Museum) The "Museum of Soviet Occupation" is located on the top floor, where the Act of Independence holds a central place. The Act is presented as "freedom lost and later restored." The exposition highlights the contrast between the democratic surge of 1918–1921 and the Bolshevik occupation of 1921. A replica of the Act is illuminated and displayed alongside memorial items belonging to political figures of that period (Noe Zhordania, Akaki Chkhenkeli, etc.).

Nearly the entire political elite of the time signed the Act, underscoring a national consensus - a crucial element in the context of democracy. It is noteworthy that on March 12, 1919, the members of the Constituent Assembly of Georgia re-signed the Act of Independence.

Museums portray the Act not as an accidental event, but as a symbol of progressiveness. In 1918, Georgia recognized women's suffrage and the equality of religious and ethnic minorities. The legal legacy is also emphasized: the Act of Restoration of Independence of April 9, 1991, is based precisely on the 1918 document, a connection often shown through parallel exhibitions.

Visiting this document in museums leaves the impression that in 1918, Georgia was a fully-fledged European democracy whose development was forcibly halted by Russian occupation.

How can the presentation of the 1918 Act of Independence be improved?

The presentation of the Act should not just be a display of a document - it should be an experience that conveys the emotional and intellectual charge of that era to the visitor. Considering modern technologies and new historical research, exhibitions can be improved in several directions:

Interactive and Multimedia Storytelling Paper behind glass can feel "dry" to many. The document needs to be brought to life, for instance, through the biographies of the signers. The Act was signed by 88 people (one signature remains illegible). Museums could feature digital panels where clicking on a signature opens the story of that individual - who they were and what fate befell them after the occupation (many were executed or died in exile). An audio-visual reconstruction could also be implemented: using special headphones, visitors could hear the reading of the Act and the sounds of the era's ovations (reconstructed or archival recordings).

Global Context The Act could be presented within a regional and global context. The museum could show that in 1918, Georgia was part of the European democratic trend. Alongside the Act, democratic processes occurring in Europe at the time (e.g., the Weimar Republic or Polish independence) could be displayed.

A Wall of Values The core principles derived from the Act (equality, freedom of religion, etc.) should be compared with modern European values to emphasize the consistency of the path chosen by the country.

Living History A digital board or blank space could be placed next to the 1918 Act where visitors can write what independence means to them today. This transforms the document from a relic of the past into a living process.

Educational Corner for Children Teaching democracy should begin at an early age. For example, a "Become a Signatory" corner could be set up, where children symbolically sign an "Act of Independence," pledging to be free and responsible citizens.

Why is this important? The proper presentation of the 1918 Act in museums dismantles nihilism. When a citizen sees that 100 years ago their ancestors managed to build statehood from scratch, they gain the belief that today's challenges can also be overcome.

The synthesis of both components - seeing the original document and learning personal stories - turns the museum into a "time machine." The original gives the sense that history is real, while personal stories provide emotional depth. In an ideal exposition, the original Act should be at the center in an almost sacred environment. Seeing the 107-year-old paper and ink makes it clear that independence was not an abstract idea - it was a bold decision made in a specific room on a specific day.

Around the Act, portraits and brief histories of the signatories should be arranged. These individuals were not just politicians; they were writers, lawyers, and teachers. For example:

Noe Zhordania: The leader who declared independence. His story is a journey from imperial prison to the head of an independent country.

Minadora Orjonikidze-Toroshelidze: One of the female signatories. Her story perfectly demonstrates the progressiveness of Georgian society at the time, and her biography is a symbol of the tragedy of occupation.

Giorgi Gvazava: A National-Democrat who contributed significantly to drafting the text. His story shows that independence was a common cause for people of different ideologies.

Infographics showing the fate of the signatories after 1921 would be poignant: how many were executed in 1924 or 1937; how many died in exile longing for their homeland; how many remained in Georgia and suffered repression. This allows the visitor to feel the price these individuals paid by signing the Act.

When we see the document, we take pride in our statehood. When we read the stories, we feel responsibility. A person leaving the museum should feel: "This country is mine, and I am obligated to protect this freedom."

Keywords: Democratic Republic of Georgia, Act of Independence of May 26, 1918, museums, politics of memory.